



კეთილსინდისიერების ამაღლება

თვითშეფასება

არაკლასიფიცირებული

ანგარიში, საქართველო

დეკემბერი, 2013 წელი

ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის თვითშეფასების ექსპერტთა საბჭოს ანგარიში

მიმოხილვა

1. კეთილსინდისიერების ამაღლების თვითშეფასების პროცესი წარმოადგენს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ პრაქტიკულ მექანიზმთა ნაწილი. კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის თვითშეფასების კითხვარი შემუშავებულია იმისთვის, რომ ქვეყნებს ამ მიმართულებით დანერგილი პრაქტიკისა და სტრუქტურის ნათელი სურათი წარუდგინოს. ექსპერტთა ჯგუფის შემდგომი დასკვნა ნათელს ჰფენს როგორც განსაკუთრებულად წარმატებულ სფეროებს, აგრეთვე იმ მიმართულებებს, რომელთაც დამატებითი ძალისხმევა ესჭიროებათ. აღნიშნული ინიციატივა მიმართულია ქვეყნების თავდაცვის სფეროებში მიმდინარე რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისა და მათ მიერ, გაეროსა თუ სხვა ფორმატებში, ნაკისრი ანტიკორუფციული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერისაკენ.
2. ექსპერტთა საბჭოს ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მხარს უჭერს ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციულ პროგრამებს. ინიციატივის დასაწყისშივე საქართველომ მონაწილეობა მიიღო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში - მოხდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების გაგზავნა კეთილსინდისიერების ამაღლების კურსებზე, დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში, პროგრამის მოდულების ადგილზე შესწავლის მიზნით, ეროვნული შესაძლებლობების განვითარება. გარდა ამისა, საქართველოსა და ბულგარეთის თავდაცვის მინისტრებმა მონაწილეობა მიიღეს პროფესიული განვითარების სემინარში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრების ინიციატივის ფარგლებში ჩატარდა.
3. არსებული ანგარიში დაფუძნებულია თვითშეფასების კითხვარის ექსპერტთა შეფასებებზე, რომელიც შეავსეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა. გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართა 2013 წლის 9-13 დეკემბერს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მაღალი თანამდებობების პირებთან, ასევე სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
4. თვითშეფასების კითხვარზე ქართული მხარის პირველადი პასუხები ამომწურავი იყო და უმეტეს საკითხებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციას შეიცავდა. ექსპერტთა საბჭოს დამატებითი ინფორმაცია

ვიზიტის წინ მიიღო. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოხატა მზადყოფნა ნატოს კეთილსინდისიერების ამალგების პროგრამის ფარგლებში არ დაიშუროს ძალისხმევა. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა აშკარა იყო, შეიარაღებულ ძალებში მასთან გამკლავების შესაძლებლობები შეზღუდული იყო, ნაკლები ინტერესისა და ჭარბი სისტემური ხარვეზების გამო. თავდაცვის სამინისტროს ურთიერთობა მედიასა თუ სამოქალაქო საზოგადოებასთან მზარდი ტემპებით უმჯობესდება. ასევე მაღალია თავდაცვის საკითხებით დაინტერესება, რაც 2008 წლის კონფლიქტითა და ახლო წარსულში კორუფციის გახმაურებული საქმეებით არის განპირობებული.

5. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობამ ჩამოაყალიბა უწყებათაშორისი კოორდინაციის საბჭო, რომელსაც ახალი ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განვითარების მიზნით გეგმის შემუშავება დაევა. აღნიშნული გეგმა 2014 წლისთვის დამტკიცდება. მთავრობის ცვლილებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კორუფციასთან ბრძოლას. კოორდინაციის საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს ანტიკორუფციული ღონისძიებები. მთავრობის ყურადღება დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელშიც საფუძვლიანი რეფორმები გატარდა. თავდაცვის სამინისტროს ჯერ არ აქვს სამოქმედო გეგმა, თუმცა მრავალი ღონისძიება მიმართული კორუფციულ რისკებთან გასამკლავებლად. არ არსებობს კორუფციის საწინააღმდეგო ერთიანი რეგულაციები, თუმცა საერთაშორისო ნორმებთან დასაახლოებლად, საქართველოში გადაისინჯა არაერთი სამართლებრივი პროცედურა. არსებობს საჯარო სამსახურის რეგულაციით გათვალისწინებული ცალკეული საკანონმდებლო აქტები საჯარო შესყიდვებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედებს ანტიკორუფციული სახის საკანონმდებლო თუ სხვა სახის რეგულაციები, ხოლო არსებული საკანონმდებლო ჩარჩო აღნიშნული პოლიტიკის გატარების საშუალებას იძლევა. ამჟამად, საზოგადოება ანტიკორუფციული ღონისძიებების განვითარების პროცესს აკვირდება, თუმცა ვითარების გაუმჯობესებაში დასარწმუნებლად დრო დასჭირდება.
6. მთავრობის ანტიკორუფციული ღონისძიებების მიმართ მხარდაჭერა ძლიერია ყველა სტრუქტურაში. თავდაცვის სამინისტროში ანტიკორუფციული პროგრამები განხორციელების საწყის სტადიაზეა. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება აღნიშნული პროგრამების დასახვეწად.
7. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ არ ხორციელდება სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ანტიკორუფციულ საკითხებზე განათლება და არ ტარდება შესაბამისი ტრენინგები. მიმდინარე ტრენინგზე არ არის გათვალისწინებული ოპერაციის შესრულების პროცესში კორუფციული

რისკები; არ ხდება მიღებული გამოცდილების რეგულარული ანალიზი და არ არსებობს ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებული დოქტრინა.

8. საბჭომ გამოკვეთა შემდეგი სფეროები, სადაც მიღწეულ იქნა წარმატება
- ა). დაწინაურების საბჭოების გამოყენება სამხედროების დაწინაურებისთვის და ტესტირებისა და გასაუბრების გზით სამოქალაქო პერსონალის შერჩევა;
 - ბ). ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენება და გამარტივებული სატენდერო პროცედურის დანერგვა 2 000 000 ლარზე ნაკლები ღირებულების შესყიდვებისთვის;
 - გ). სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ასამაღლებლად განხორციელებული ღონისძიებები რეგულარული პრესკონფერენციებისა და მოქალაქეთა მისაღების ჩამოყალიბების ჩათვლით;
 - დ). დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის პროგრამის დანერგვა.
9. საბჭოს ძირითადი რეკომენდაციებია:
- ა). დაიწყოს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის სისტემატური ანტიკორუფციული ტრენინგები. წახალისდეს ხელმძღვანელობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია კეთილსინდისიერებისა და გამჭირვალობის ამაღლებისაკენ;
 - ბ). უმოკლეს ვადებში ჩამოყალიბდეს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება მინისტრის წინაშე. დაიწყოს შესყიდვების პროცესის არაგეგმიური აუდიტების წარმოება;
 - გ). განვითარდეს შესყიდვებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის სისტემა, რომელიც მოიცავს შესაბამის მითითებებს და უზრუნველყოფს სისტემის გამოყენებას, მონიტორინგსა და ანგარიშვალდებულებას;
 - დ). შემუშავდეს გადასროლის წინა სტანდარტული ანტიკორუფციული ტრენინგის მოდული ყველა ქვედანაყოფისათვის და გათვალისწინებული იყოს შესყიდვებსა და ფინანსებში იმ მომსახურეთათვის, რომლებიც საზღვარგარეთ იგზავნებიან;
 - ე). დაინიშნოს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის საკითხებზე საკონტაქტო პირი და მომზადდეს ოფისი, რომელიც ითანამშრომლებს სამუშაო ჯგუფთან ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების განხორციელების მიზნით. მოწვეულ იქნენ ექსპერტები მიღწეული პროგრესის შეფასებისათვის და დახმარებისათვის;
 - ვ). განხილულ იქნას უწყებათაშორისი სემინარის ჩატარების საკითხი, რათა რეკომენდაციები მიეწოდოს ყველა სამინისტროს;
 - ზ). გასაჯაროვდეს საბჭოს ანგარიში პოზიტიური ცვლილებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის.

თ). მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ორმხრივი მექანიზმები თავდაცვის სფეროში გამჭირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად, რაც მოიცვას:

- კეთილსინდისიერების ამაღლების წლიურ სამოქმედო გეგმასა და დაგეგმვის, ასევე მიმოხილვის პროცესში მაქსიმალურად ჩართვას;
- პროფესიული განათლებისა და თავდაცვის გაძლიერების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ნატო-საქართველოს კომისიის დღის წესრიგში კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხის ჩასმას.

ი). საქართველოსთვის სასარგებლო იქნება ის მხარდაჭერა, რომელსაც ნატოსა და რეგიონული პოლიტიკური წრეებიდან მიიღებს. ნატოს სამეკავშირეო ოფისი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მზადაა აღნიშნულ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების განხორციელებისთვის დასახმარებლად;

კ). სასურველია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მეზობელ ქვეყნებს გაუზიაროს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის დანერგვისას მიღებული გამოცდილება. ნატოს სამეკავშირეო ოფისი მზადაა ამ სფეროში დახმარებისათვის.

საქართველო - კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის თვითშეფასება ექსპერტთა საბჭოს მოხსენების განხილვა

I. დეტალური კვლევები და კომენტარები

დემოკრატიული კონტროლი და ჩართულობა

10. საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ შეიარაღებული ძალების სახეობა და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. მისი სტრუქტურა მტკიცდება პრეზიდენტის მიერ, ხოლო სამხედრო სიძლიერე პარლამენტის მიერ.

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პარლამენტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე: თავდაცვის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრა; საქართველოს თავდაცვის სამხედრო დოქტრინისა და სშმ-ის განვითარების კონცეფციის დამტკიცება; თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული კანონების მიღება; სამხედრო ფიცის დამტკიცება; თავდაცვის ბიუჯეტის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილის შესწავლა და დამტკიცება; სამხედრო შინაარსის საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების შეწყვეტა და რატიფიცირება; თავდაცვის სფეროზე ზედამხედველობა და კონტროლის განხორციელება, ასევე, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შესრულება.

11. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს აკისრია მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველობის კუთხით. აღნიშნული კომიტეტი შედგება პარლამენტის მიერ არჩეული 13 წევრისაგან, ჰყავს თავმჯდომარე და სამი მოადგილე. ერთ-ერთი მოადგილე წარმოადგენს ოპოზიციურ ძალას. დარჩენილი 9 წევრიდან 4 არის უმრავლესობის, ხოლო 4 - ოპოზიციის წარმომადგენელი. ერთი წარმოადგენს პარლამენტის დამოუკიდებელ წევრს. დამატებით, კომიტეტის ფარგლებში, ჩამოყალიბდა ნდობის ჯგუფი, რომლის ფუნქციაა კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება თავდაცვის საიდუმლო პროგრამებსა და დანახარჯებზე. მისი საქმიანობა რეგულირდება საპარლამენტო პროცედურებითა და ნდობის ჯგუფის შესახებ კანონით. ნდობის ჯგუფი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს ოპოზიციურ პარტიას. ნდობის ჯგუფის წევრებს ირჩევს პარლამენტი. ჯგუფი თვეში ერთხელ დახურულ სესიებს მართავს.

12. მინისტრთა კაბინეტს, თავდაცვის მინისტრის ჩათვლით, ასახელებს პრემიერ-მინისტრი და ამტკიცებს პარლამენტი. პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, მთავრობის თანხმობით, ირჩევს გენერალური შტაბის უფროსსა და სარდლებს. მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის მიერ თავდაცვის მინისტრის

რეკომენდაციით. პრემიერ-მინისტრს აქვს უფლებამოსილება გაათავისუფლოს თავდაცვის მინისტრი.

13. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2013 წლის აპრილი) და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (2013 წლის მაისი) წარმოადგენენ საჯარო დოკუმენტებს, რომელთა პროექტებიც საქართველოს პარლამენტის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო საზოგადოებას წარედგინა შესაფასებლად. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის დამტკიცებამდე, თავდაცვის სამინისტრომ განახორციელა ფართომასშტაბიანი საჯარო კონსულტაციები. ეროვნული სამხედრო სტრატეგია დასრულებულია, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოსთვის წარდგენამდე (2013 წლის ბოლომდე) არასამთავრობო ორგანიზაციებს გაეგზავნება შესაფასებლად. დოკუმენტის დამტკიცება იგეგმება 2014 წლის გაზაფხულზე. საომარი მოქმედებების დროს თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვისა და სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფები. საქართველოს უშიშროების სამსახურები აერთიანებს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საგარეო დაზვერვის დეპარტამენტს, თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს. დაზვერვის სისტემის საპარლამენტო კონტროლი თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის პასუხისმგებლობაში შედის.

14. თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს ფართომასშტაბიანი ხედვების ფორმირებაში სამოქალაქო ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას; მიზნად ისახავს საზოგადოების უკეთ ინფორმირებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელს უწყობს ეფექტური ტრანსფორმაციის პროცესს. თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს პარლამენტთან ურთიერთობის გააქტიურებისთვის და თანამშრომლობს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელობასთან. დამატებით, თავდაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა 3 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ესენია: თავდაცვის ტრანსფორმაციის, ნატოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის და გამჭვირვალობისა და ადამიანთა უფლებების ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს კურატორი მინისტრის მოადგილე (უფლებამოსილების შესაბამისად). თავდაცვის სამინისტრომ სამუშაო ჯგუფებში არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმომადგენლების დასახელება სთხოვა. ამჟამად, ჯგუფების მუშაობაში 20 წარმომადგენელზე მეტი მონაწილეობს. პერიოდულად, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, უწყებაში მიმდინარე და სამომავლო რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმირების მიზნით აღნიშნულ ჯგუფებთან შეხვედრებს მართავს. არსებული მონაცემებით, ისინი ჩართულები იყვნენ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებასა და ეროვნული თავდაცვის აკადემიის რეფორმირების გეგმის განხილვაში. უახლოეს მომავალში დაგეგმილია სამუშაო ჯგუფების მიწვევა სამხედრო და სამოქალაქო ადამიანური რესურსების მართვის რეფორმირების გეგმისა და სამხედრო

მოსამსახურეების ოჯახების მხარდამჭერი პროგრამების განსახილველად. ამჟამად, თავდაცვის სამინისტრო მუშაობს თანამშრომლობის მემორანდუმის პროექტზე, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ფორმალიზების მიზნით და სამომავლო თანამშრომლობის ნათელი და მრავალმხრივი პროცედურების დასანერგად.

15. თავდაცვის სამინისტრო ცდილობს აქტიურად ითანამშრომლოს მედიასთან. მაშინ, როდესაც წარსულში, თავდაცვის სამინისტროსა და ჟურნალისტებს/სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით აქტიური კრიტიკა ისმოდა, თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა დაინტერესებულია გაუმჯობესება შეიტანოს აღნიშნული კუთხით. ამჟამად, თავდაცვის სამინისტრო რეგულარულად მართავს პრესკონფერენციებს, ასევე იმართება უმაღლესი ხელმძღვანელი პირების შეხვედრები ჟურნალისტებთან, რომლებიც ცდილობენ მიმდინარე რეფორმებსა და თავდაცვის საკითხებზე მოხდეს საზოგადოების ინფორმირება. 2013 წლის მარტში თავდაცვის სამინისტრომ, აშშ-ის მხარდაჭერით ჩაატარა სპეციალური ტრენინგი ჟურნალისტებისთვის და მიაწოდა ინფორმაცია საბრძოლო ზონებში არსებული ვითარებისა და ქვევის წესების შესახებ. ავღანეთში დისლოცირებული ქართული კონტიგენტის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, თავდაცვის სამინისტრომ მოიწვია ჟურნალისტები, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად ავღანეთში გასამგზავრებლად. ჟურნალისტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ავღანეთში დისლოცირებულ ქართველ ჯარისკაცებს და ინტერვიუ ჩაეწერათ. საქართველოში დაბრუნებამდე ერთ-ერთ გაზეთს ჰქონდა სპეციალური გამოშვება ავღანეთზე, ხოლო ორმა არხმა გადმოსცა რეპორტაჟი ქართველი ჯარისკაცებისა და საქართველოს ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ.

16. 2013 წლის აგვისტოში, მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლითაც დაავალდებულა ყველა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი აქტიურად განეთავსებინათ ინფორმაცია მათი ხელმძღვანელობის, ასევე ამოცანების, მიზნების, ღონისძიებების, ბიუჯეტისა და დანახარჯების შესახებ. ეს ინფორმაცია რეგულარულად უნდა გამოქვეყნდეს და განახლდეს ყველა სამთავრობო ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თავდაცვის სამინისტრომ განაახლა ოფიციალური ვებ-გვერდი და გახადა უფრო ინფორმაციული და მომხმარებელზე ორიენტირებული, ასევე დაამატა განყოფილებები, სადაც განთავსებულია ღია ტენდერების, ინფრასტრუქტურული პროექტების, ხშირად დასმული შეკითხვების, ვაკანტური ადგილების შესახებ განცხადებებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციები. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტს დაევალა საზოგადოების შეკითხვებზე პასუხების გაცემა. მოთხოვნები უმეტესად ეგზავნება ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, რომელიც პასუხისმგებელია გამოითხოვოს ინფორმაციები თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან. კანონის შესაბამისად, დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს წერილობითი პასუხის გაცემა პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე მოთხოვნის მიღებიდან

მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში. ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს და სამი დღის განმავლობაში გაეგზავნოს წერილობითი ცნობა უარის თაობაზე, სადაც ასევე განემარტება საკუთარი უფლებების შესახებ. თავდაცვის სამინისტრო უმეტესად იღებს მოთხოვნებს დასაქმების, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების, სამხედრო განათლების, ვეტერანთა საქმეებისა და სოციალური დახმარების შესახებ. ერთი თვის განმავლობაში შემოსული მოთხოვნების რაოდენობა აღწევს 150-ს. გარდა ამისა, საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი პასუხს სცემს კითხვებს, რომლებსაც თავდაცვის სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე და ელექტრონულ ფოსტაზე განათავსებს.

17. 2013 წლის ნოემბერში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა მოქალაქეთა მისაღები, რომლის მიზანია თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე მოქალაქეთა წვდომის გაუმჯობესება. მისაღების პერსონალმა, მოქალაქეთა უკეთ მომსახურების მიზნით, გაიარა სპეციალური მომზადება. ისინი ეხმარებიან მოქალაქეებს თავდაცვის სამინისტროს სახელზე წერილებისა და საჩივრების ჩამოყალიბებაში, აწვდიან რეკომენდაციებს კონკრეტულ საკითხებზე, უწევენ კონსულტაციებს, თუ როგორ გადაწყვიტონ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული საკითხები, ზედამხედველობას უწევენ შეკითხვებზე დროულ რეაგირებასა და საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უწევენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სამოქალაქო მისაღების მოვალეობაა აწარმოოს ყოველთვიური სტატისტიკა, რომელიც ასახავს მოქალაქეების მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს და წარადგინოს კვარტალური სტატისტიკა. ერთ-ერთი ბოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც ასახავდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას, აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საქართველოს ოფისის მიერ 2012 წლის ივლისში ჩატარდა. აღნიშნული გამოკითხვის თანახმად, შეიარაღებული ძალები (89%) წარმოადგენს მეორე ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ინსტიტუტს ეკლესიის შემდეგ (94%). ბოლო გამოკვლევამ, რომელიც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) მიერ ჩატარდა, ცხადყო, რომ 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივლისამდე თავდაცვის სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხი 0%-დან 86%-მდე გაიზარდა. თავდაცვის სამინისტრომ ინსტიტუტისაგან აღნიშნულ სფეროში პროგრესისათვის სპეციალური სერთიფიკატი მიიღო.

18. 2013 წლის მაისში, თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა სამწლიანი თანამშრომლობის შეთანხმებას შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრთან თავდაცვის სისტემის ზედამხედველობისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ 2013-2016 წლებში. ზემოაღნიშნული ცენტრი დაეხმარება თავდაცვის სამინისტროს და თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტს პოლიტიკის, კანონების, სამუშაოს აღწერის ფორმების და სამოქმედო წესების შემუშავებაში, რომელიც დაკავშირებულია საპარლამენტო

ზედამხედველობასა და თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასთან, ასევე დაეხმარება მხარეთა შესაძლებლობების განვითარებაში.

19. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არსებობს სფეროები, რომლებიც საჭირობენ გაუმჯობესებას, ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტთა საბჭოს ჯგუფის ზოგადი შეფასება პოზიტიურია. საქართველოს გამოცდილების გაზიარება უნდა მოხდეს ნატოს, სხვა პარტნიორი ქვეყნებისა და SEDM ინიციატივის კონტექსტში კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის სხვა მიმართულებებითაც.

რეკომენდაციები:

- ა. ინფორმაციის თავისუფლების პოლიტიკისა და შიდა რეგულაციების გადახედვა, იმის დასადასტურებლად, რომ აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს;
- ბ. გარე და შიდა საჯარო ინფორმაციული კამპანიის ხელშეწყობა, თავდაცვის საკითხებზე ინიციატივების მხარდასაჭერად, რომელიც ეხება კეთილსინდისიერების ამაღლებას და ანტიკორუფციულ რისკებს;
- გ. პარლამენტთან თანამშრომლობა ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით და რეგულარული ანგარიშების მოთხოვნების შესრულება თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის წინაშე.

ეროვნული ანტიკორუფციული კანონმდებლობა და პოლიტიკა

20. საქართველო რამდენიმე ანტიკორუფციული საერთაშორისო შეთანხმებისა და ხელშეკრულების წევრია: 2008 წელს საქართველო გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციას (UNCAC) შეუერთდა; 1999 წელს ხელი მოეწერა ევროსაბჭოს სამოქალაქო სამართლის კორუფციასთან ბრძოლის კონვენციას (Civil Law Convention on Corruption) და 2008 წელს ევროსაბჭოს დანაშაულებრივ კორუფციასთან ბრძოლის კონვენციას (Criminal Law Convention on Corruption). 2013 წლის ივლისში საქართველომ პარლამენტმა დანაშაულებრივ კორუფციასთან ბრძოლის კონვენციის დამატებითი პროტოკოლის რატიფიცირება შეძლო. საქართველო, აგრეთვე, წევრია კორუფციასთან ბრძოლის მრავალდისციპლინური ჯგუფის #98 რეზოლუციისა (Resolution #98 of the Multidisciplinary Group on Corruption), რომელიც ეხება კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ ქვეყანათა ჯგუფის (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის სამოქმედო გეგმის შექმნას. აღნიშნული ეხება აღმოსავლეთ ევროპას და ცენტრალურ აზიას (Eastern Europe and Central Asia Istanbul Anti-Corruption Action Plan - ACN). როგორც GRECO, ისევე OECD ACN აქვეყნებს რეგულარულ ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ საქართველოს საერთაშორისო ანტიკორუფციული ვალდებულებების მიმართულებით გაწეულ საქმიანობას. ამასთან ერთად, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ აქტიურ მონიტორინგს

საქართველოს შესაბამის საერთაშორისო კონვენციებთან თავსებადობის თვალსაზრისით.

21. პირველი ანტიკორუფციული სტრატეგია 2005 წელს შემუშავდა. 2009 წლის ბოლოს, საქართველოს პრეზიდენტმა კორუფციასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო ჩამოაყალიბა და ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა დაავალა. ანტიკორუფციული სტრატეგია დამტკიცდა 2013 წლის 3 ივნისს, ხოლო 2010-2013 წ.წ. სამოქმედო გეგმა - 2010 წლის 14 სექტემბერს (ორივე დამტკიცდა პრეზიდენტის ბრძანებულებით). თავდაცვის სამინისტრო არ იყო ჩართული 2010 წლის ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც, სამოქმედო გეგმის ჩათვლით, არ შეიცავდა თავდაცვის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს. 2010-2013 წლების სამთავრობო რეფორმები ყურადღებას ამახვილებდნენ შემდეგ 6 ძირითად სფეროზე: საჯარო სექტორის მოდერნიზაცია; არაკორუმპირებული და კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი; იუსტიციის ადმინისტრირების გაუმჯობესება; ანტიკორუფციული კანონმდებლობის გაუმჯობესება; კორუფციის პრევენცია; და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება. დამატებით, ანტიკორუფციული ღონისძიებების ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებისთვის მიღებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებების ფართო სპექტრი საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. გარკვეული ძალისხმევა იქნა გაწეული ანტიკორუფციული ორგანოების შესაძლებლობების განვითარების მიზნით და საჯარო მომსახურების სფეროში, ასევე, მოქალაქეების მომსახურების მიზნით, დაარსდა იუსტიციის სახლები. საქართველოს მთავრობის მიერ წარმატებით განხორციელებულ ინიციატივათა რიცხვს ელექტრონული შესყიდვებისა და ელექტრონული ქონებრივი დეკლარაციის სისტემების დანერგვაც დაემატა.

22. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელახლა დაარსდა ანტიკორუფციული საბჭო, რომელსაც ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავება დაევალა. აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2014-2016) დამტკიცებისთანავე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს (მისი სამდივნოს მეშვეობით) დაევალება მისი განხორციელება და წლიური საქმიანობის ანგარიშების მომზადება. დღევანდელი მდგომარეობით, საბჭოს სამდივნომ უკვე მოახდინა თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობების იდენტიფიცირება, შეიმუშავა საბჭოს მოქმედების არეალი და სამოქმედო გეგმა, ასევე მოამზადა იმ რესურსების სია, რომლებიც გამოიყენება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. 2013 წლის იანვარში ბიზნეს-ორგანიზაციებმა, ქართულმა და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორმა და თავდაცვის სამინისტრომ, საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შემოთავაზება მიიღეს. გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს ანტიკორუფციულ საბჭოში ჩართვის შესახებ მისასალმებელია.

23. საქართველოს ანტიკორუფციული საკანონმდებლო ჩარჩო შედგება კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისგან, რომელთა შემუშავება და განახლება ხორციელდება უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, რაც მოიცავს:

საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, საქართველოს კანონს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და საქართველოს კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობა არის ქმედითი, იმდენად, რამდენადაც მოხდა მისი განახლება იმ საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რომლებსაც საქართველომ ხელი მოაწერა. მიუხედავად ამისა, საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ჩამოთვლილ კანონებში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც გათვალისწინებული იქნება ახალ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში და განახლებულ სტრატეგიაში. კორუფციის პრევენციის, აღმოჩენისა და მასთან ბრძოლის მთავარი ორგანოებია - საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საჯარო სამსახურის ბიურო. 2013 წელს მთავრობის ინიცირებით საქართველოს კანონში „პროკურატურის შესახებ“ შევიდა ცვლილებები. კერძოდ, იუსტიციის მინისტრის საპროკურორო უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურორს. აღნიშნული კანონის მიხედვით, იუსტიციის მინისტრი ვეღარ ერევა მთავარი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გამოძიებას და/ან სისხლის სამართლებრივ დევნას ეხება.

24. მთავრობა ახორციელებს მრავალი კორუფციული საქმის გამოძიებას, ძველი და ახალი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების ჩართულობასთან დაკავშირებით. ეჭვმიტანილთა სიაში ფიგურირებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი და სხვები. რაც შეეხება ახალ თანამდებობის პირებს, გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილისა და, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიმართ. ბრალდებები დაკავშირებულია სახელმწიფო ფინანსების გაფლანგვასთან, ქრთამთან, გადასახადების თავიდან აცილებასა და უკანონო თვალთვალთან.

25. ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობის ინფორმირება/სწავლა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ანტიკორუფციული სტრატეგიასთან დაკავშირებით სამთავრობო სტრატეგიის სისუსტედ რჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიკორუფციული განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების გაუმჯობესება 2014-2016 წლებისთვის სტრატეგიულ პრიორიტეტად არის მიჩნეული. ანტიკორუფციულმა საბჭომ ჩამოაყალიბა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლებიც, სწორედ, აღნიშნულ საკითხებზე ყურადღებას გაამახვილებენ და ექნებათ შესაბამისი ინიციატივები (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სამოქალაქო ჩართულობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება).

რეკომენდაციები:

ნატოს შეფასების ჯგუფი გამოდის შემდეგი რეკომენდაციებით:

- ა. შესაბამისი გეგმის შემუშავება და შემდგომში მისი იმპლემენტაცია, რომელიც გააუმჯობესებს საზოგადოების ცნობიერებას და განათლებას ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მხარდაჭერის მიზნით;
- ბ. გეგმის შემუშავება საჯარო დაწესებულებებში კეთილსინდისიერებისა და ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად;
- გ. გარდა იმისა, რომ მაღალ და „სენსიტიურ“ თანამდებობებზე მომუშავე პირებს აკისრიათ ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება, ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნას სხვა საშუალებები ინფორმაციის გადასამოწმებლად და ასევე დაცული უნდა იყოს კანონი ინტერესთა კონფლიქტის დროს.
- დ. კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, სახელმწიფო უწყებათა ოფიციალური პირებისა და თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ფაქტების გამოვლენის ვალდებულების შესახებ პოლიტიკის გადახედვა, საპროტოკოლო ღონისძიებების, აგრეთვე სხვა ღონისძიებებისა და აქტივობების შემთხვევაში;
- ე. სისტემის განვითარება, რომელიც არეგულირებს შესაბამისი პასუხისმგებელი სამთავრობო უწყების უფლებამოსილებას რეგულარულად განიხილოს და მიიღოს ზომები საექვო ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებით.

ანტიკორუფციული პოლიტიკა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში

26. „მინისტრის ხედვა 2013-2014“ დოკუმენტის თანახმად, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივის ხელშეწყობა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რაც ასევე წარმოადგენს საქართველოს ახალი ხელისუფლების უმთავრეს მიზანს. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ამოცანაა პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სამინისტროს ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა, ასევე კორუფციის აღმოფხვრისა და პრევენციის მექანიზმების გაძლიერება, ფინანსური და შესყიდვების პროცესების გამჭვირვალედ წარმართვა და საიდუმლო ინფორმაციების შესახებ სტანდარტების შემუშავება. თავდაცვის მინისტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს შეიარაღებული ძალების თუ სხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ასევე ინტერვიუებსა და სამუშაო პროცესში. მუდმივად იმართება შეხვედრები სამხედრო პოლიციისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლებთან სამართალდარღვევების გამოვლენისა და განხილვისათვის.

27. თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს, რომ მექრთამეობისა და კორუფციის მაღალი რისკი არსებობს ფინანსების მართვის, შესყიდვების, ადამიანური რესურსებისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტებში, ასევე ქვეუწყებებში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულებებისა და აქტივების განკარგვაზე. თავდაცვის სამინისტრო, ითვალისწინებს რა ინსტიტუციური ღირებულებებისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებში არსებულ სისუსტეებს, გეგმავს შესაბამისი ანალიზის მომზადებას პოლიტიკისა და სისტემების გასაუმჯობესებლად, რისკების გამოვლენისა და პრიორიტეტების განისაზღვრის მიზნით.

28. თავდაცვის სამინისტრო შეუერთდა კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივას და დაასრულა მუშაობა თვითშეფასების კითხვარზე, რომელიც სამინისტროს ეხმარება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში კორუფციის რისკების გამოვლენაში. თავდაცვის სამინისტრო, ზემოაღნიშნული რისკების შემცირების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ნატოს ექპერტებთან, ასევე დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსთან კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივის ხელშეწყობისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე კურსების ორგანიზების მიზნით. სამინისტროში განისაზღვრა პოტენციური ტრენერები და დისკუსიები, გაიმართა კურსის სილაბუსი. პოტენციურმა ტრენერებმა, ნატოს თავდაცვის ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს კეთილსინდისიერების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებულ კურსებში, ზოგიერთი მათგანი გაივლის რამდენიმეთვიან სტაჟირებას დიდ ბრიტანეთში მათი დაფინანსებით. პირველ ეტაპზე, სტაჟირებას გაივლიან მაღალი რისკის მქონე დეპარტამენტების საშუალო და მაღალი რგოლის წარმომადგენლები. საპილოტო კურსი დაგეგმილია 2014 წლის აპრილში.

29. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი და გენერალური ინჰექცია წარმოადგენენ კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე პასუხისმგებელ ძირითად სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სამართალდარღვევების ზედამხედველობასა და კონტროლს, გამოძიების ჩატარებასა და კანონთა დამრღვევების დასჯას; ასევე ჩართულები არიან ორგანიზებულ კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულებების გამოძიებაში გაერთიანებულ შტაბსა და სამხედრო დანაყოფებში შიდა ფინანსური კონტროლის კანონის შესაბამისად. სამხედრო პოლიცია ქვედანაყოფის მეთაურებსა და პერსონალთან მჭიდრო კოორდინაციით პასუხისმგებელია სისტემის ანალიზის, დაგეგმვისა და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებაზე. სამხედრო პოლიცია ექვემდებარება შტაბის უფროსს და ანგარიშვალდებულია თავდაცვის მინისტრთან. 2013 წელს განხორციელდა სამხედრო პოლიციის რესტრუქტურირება. სამომავლოდ პრევენციული მექანიზმებისა და კორუფციის რისკის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება იგეგმება. სამხედრო პოლიციაში 1,360 თანამშრომელია და შედგება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსური პოლიციის ყოფილი თანამშრომლებისაგან, რომლებიც დანიშნულნი არიან გამოძიებებისა და ოპერაციების სამმართველოებში. სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც

პასუხისმგებელია ფინანსურ დარღვევებზე, დაკომპლექტებულია კვალიფიციური აუდიტორებით. სამომავლოდ დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების ასამაღლებლად შემუშავდება სპეციალური ტრენინგები სამხედრო პოლიციის თანამშრომელთათვის.

30. ნებისმიერი გამოძიება, რომელიც ეხება სისხლის სამართლის კანონდარღვევებს, უნდა გადაეცეს საქართველოს პროკურატურას. სამხედრო პოლიცია პასუხისმგებელია შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების საქმიანობის შიდა აუდიტის წარმოებაზე. სამხედრო პოლიცია ასევე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევების გამოძიებაზე თავდაცვის სამინისტროში. გენერალური ინსპექცია შედგება 34 სამხედრო და სამოქალაქო თანამშრომლისგან. ისინი თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებისა და სისტემების კონტროლს ახორციელებენ. მათ პასუხისმგებლობაში შედის თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინსპექტირება. 2012 წლის ნოემბრიდან 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით, გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა 54 გამოძიება, რომლის შედეგად, დაკისრებული სანქციები მოიცავდა სამსახურიდან დათხოვნას, ხელფასის შემცირებას, დაქვეითებას, გაფრთხილებებს და საყვედურის გამოცხადებას. 2012 წელს სამხედრო პოლიციამ გამოიძია 16 კორუფციის შემთხვევა და 2013 წელს კი - 57.

31. საქართველოში 2009 წელს განხორციელდა „კორუფციული ფაქტებისა და უკანონო ქმედებების თაობაზე ინფორმირების“ შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება. კანონი კრძალავს მათ დაშინებას, ძალდატანებას ან დისკრიმინაციას, ვინც ახმაურებენ ზემოხსენებულ ფაქტებს. მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მათი და მათი ოჯახის წევრების დაშინების მცდელობის შემთხვევაში. თუ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის საქმე აღიძრება კორუფციის ფაქტების და უკანონო ქმედებების შესახებ ინფორმატორების მიმართ, შესაბამისმა სამსახურმა უნდა დაამტკიცოს, რომ სისხლის სამართლის საქმე არ უკავშირდება აღნიშნული ფაქტების გახმაურებას. რაიმე სახის საჩივარზე პასუხი გაცემა არ შეიძლება დაევალოს ოფიციალურ პირს, რომლის მიმართაც არის აღძრული საჩივარი, ან რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად აქვს რაიმე დაინტერესება აღნიშნული პირის მიმართ და საქმის ობიექტურად გამოძიება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. საჩივარი უნდა იყოს გამოძიებული და განხილული შიდა ქვედანაყოფების მიერ გონივრულ ვადაში. თუ შიდა გამოძიება აღმოაჩენს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სანქციების აუცილებლობას, გამოძიება უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანიზაციებს. აღნიშნული რეგულაციები განმარტებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საიტზე, გენერალური ინსპექციის განყოფილებაში. მიუხედავად იმისა, რომ დაწერილი სახით პოლიტიკა არ არსებობს, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სამხედროებსა და სამოქალაქო პერსონებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ პირადად მას, თუ ისინი მოვალეობის შესრულებისას წააწყდებიან ან გახდებიან კორუფციის მსხვერპლნი.

32. 2013 წლის მაისიდან გენერალურმა ინსპექციამ აამოქმედა „ცხელი ხაზი“, რომელიც სამინისტროს თანამშრომლებსა და საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გენერალურ ინსპექციას თავდაცვის სამინისტროში არსებული კანონდარღვევების შესახებ აცნობონ. ზარი შესაძლებელია იყოს ანონიმური. აღნიშნული წამოწყების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე, ს.ს.ი.პ-ებსა და სამხედრო ბაზებზე განთავსდა სპეციალური პლაკატები. დამატებით, გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა სამხედრო ნაწილებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ჩაატარეს საინფორმაციო ბრიფინგები. სამინისტროში განთავსებულია „საჩივრის ყუთები“, რომლებიც გენერალური ინსპექციის ინფორმირების საშუალებას იძლევა.

33. ამ ეტაპზე თავდაცვის სამინისტროში არ არსებობს შიდა აუდიტის სამსახური. 2014 წლისათვის ყველა სამინისტროს კანონი ავალდებულებს ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტის დეპარტამენტები. ვინაიდან, ფინანსთა სამინისტრო ახდენს კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს აღნიშნულ პროცესს, თავდაცვის სამინისტრო კონსულტაციებს შიდა აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბების საკითხებზე აწარმოებს. თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიზანი, სტრუქტურა და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავებულია პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე. შიდა აუდიტის სამსახური პასუხისმგებელი იქნება თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის შეფასებაზე, რისკების იდენტიფიცირებასა და მართვაზე, ასევე აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავებაზე. ნატოს კეთილსინდისიერების ამალების ექსპერტთა ვიზიტისას რეკომენდაციებთან ერთად, ნატო, გარკვეულ საკითხებში, ექსპერტიზისა და კეთილსინდისიერების ამალების სფეროში, აგრძელებს გამოცდილების გაზიარებას ქართული მხარისთვის.

34. 2012 წლის დეკემბრიდან, გენერალურმა ინსპექციამ გამოიძია თავდაცვის სამინისტროს წინა ხელმძღვანელობის პერიოდში არსებული კანონდარღვევები. ძირითად, კანონდარღვევებს წარმოადგენდა აღჭურვილობის გაზრდილ ფასებად შესყიდვა, უკანონო საჩუქრები, საიდუმლო პრემიები, ვეტერანების დამადასტურებელი ყალბი მოწმობების გაცემა, დაბალი ხარისხის და დაზიანებული აღჭურვილობის შესყიდვა, დოკუმენტების გაყალბება, ფიქტიურ დასაქმება და პოლიტიკური მიზნებით არალეგალური შესყიდვების წარმოება. აღნიშნული გამოძიებების დეტალები ასახულია სამინისტროს საიტზე გენერალური ინსპექციის განყოფილებაში. გამოძიების დასრულების შემდეგ, გენერალური ინსპექცია პრესკონფერენციაზე აცნობებს საზოგადოებას აღმოჩენილი კანონდარღვევების შესახებ. გენერალური ინსპექცია აგზავნის დოკუმენტაციას საქართველოს პროკურატურაში შემდგომი გამოძიებისათვის. გამოძიება მიმდინარეობს.

რეკომენდაციები:

ა. სასწრაფოდ დაარსდეს აუდიტის დეპარტამენტი და მოხდეს გენერალურ ინსპექციისა და სამხედრო პოლიციის ფუნქციების გამიჯვნა.

განხორციელდეს სამხედრო პოლიციისა და გენერალური ინსპექციის ამოცანების გადახედვა აღნიშნული სამი სამსახურის ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნის მიზნით.

ბ. ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაციისთვის, უწყებათაშორის ანტიკორუფციულ საბჭოსთან თანამშრომლობით, შეიქმნას ოფისი თავდაცვის სამინისტროში.

გ. შემუშავდეს კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება მაღალი სამხედრო და თავდაცვის ოფიციალურ პირთათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჩუქრების მიღების ფინანსური შეზღუდვების დაწესებისკენ. უნდა შემუშავდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის კონკრეტულ შეზღუდვებს მოიცავს.

პერსონალი - ქცევა, წვრთნა, დისციპლინა

35. თავდაცვის სისტემაში არსებობს კანონები და პოლიტიკა, რომელიც ქცევის წესებს არეგულირებს. ესენია: პრეზიდენტის ბრძანებულება შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის შესახებ, კანონი საჯარო მოხელის შესახებ და კანონი ინტერესთა კონფლიქტისა და საჯარო სამსახურში კორუფციის შესახებ, პრეზიდენტის ბრძანებულება შეიარაღებული ძალების სამხედრო დისციპლინის შესახებ. პრეზიდენტის განკარგულებები არ მოიცავს ეთიკის, ღირებულებების ან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ საკითხებს, მაგრამ ასახავს ზოგად მითითებებს შეიარაღებული ძალებში ქცევის წესების თაობაზე. ზოგადად, საჯარო სამსახურის კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს და გულისხმობს ერთგულებას სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის, ასევე კანონის უზენაესობისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს საქართველოს კონსტიტუციის მიმართ, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებისა და ღირსების, მათ შორის, საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის პატივისცემას.

36. ინტერესთა კონფლიქტისა და საჯარო სამსახურში კორუფციის შესახებ კანონი განსაზღვრავს რეგულაციებს საჯარო სექტორში ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის ფაქტების პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების შესახებ. ასევე, ადგენს ქონებრივი საკუთრებისა და ფინანსური დეკლარაციის საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენის პროცედურებს. რაც შეეხება საჩუქრებს, ის არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოხელის წლიური შემოსავლის 15%, ხოლო ერთი საჩუქარი კი 5%. წლის მანძილზე მიღებული საჩუქრების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1,000 ლარს (450 ევრო), ხოლო ერთი საჩუქრის ღირებულება კი 500 ლარს (225 ევრო). კანონის შესაბამისად, საჯარომ მოხელემ საჩუქარი, რომლის ღირებულებაც აღემატება 500 ლარს, უნდა გადასცეს ფინანსთა სამინისტროს

მომსახურების სააგენტოს. თუმცა, საჯარო მოხელეს, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს ზემოთ აღნიშნულ კანონს, არ აქვს უფლება მოითხოვოს დამატებითი კომპენსაცია ან რაიმე სახის ანაზღაურება მსგავსი ქმედებისთვის. მოხელე შეზღუდულია საჩუქრის მიღებაშიც, მისი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტს. კანონის შესაბამისად, მოხელეს ასევე ეკრძალება სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება, გარდა მეცნიერული, შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისა. მას ასევე ეკრძალება დაიკავოს რაიმე სახის თანამდებობა სხვა საჯარო სამსახურში. საჯარო მოხელეს და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება ფლობდნენ აქციებს საწარმოში, რომელსაც აღნიშნული თანამდებობის პირი ფლობს. თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია კანონი, რომელიც არეგულირებს საჩუქრის გადაცემის წესს ორგანიზაციაში.

37. ყველა საჯარო მოხელე, დეპარტამენტის უფროსის ჩათვლით, ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მისი და მისი ოჯახის წევრების გასული წლის ქონებრივი დეკლარაცია თანამდებობაზე დანიშნვიდან/განთავისუფლებიდან ორი თვის ვადაში. საჯარო სამსახურის ბიურო ვალდებულია დეკლარაციის დროულ ჩაბარებაზე. თუმცა, აღნიშნულ სისტემას ამ ეტაპზე არ გააჩნია რაიმე კონტროლის მექანიზმი, რაც მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლისთვის. „სახელმწიფო ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმისა“ და „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ჩამოაყალიბოს და განავითაროს დეკლარაციის მონიტორინგის სისტემა. საჯარო სამსახურის ბიუროს ორგანიზებით გაიმართა ორი შეხვედრა, რომლის დროსა განიხილეს საქართველოში დეკლარაციის მონიტორინგის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა ქონებრივი დეკლარაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული მოქალაქეებისა და მედიის წარმომადგენელთათვის. 2013 წელს აღნიშნულმა სისტემამ მიიღო გაეროს საჯარო სამსახურის ჯილდო „საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისა და დამარცხების“ კატეგორიაში. აღნიშნული პრაქტიკა გაზიარებულ უნდა იქნას კეთილსინდისიერების ამალგების პროგრამაში ჩართული სხვა ქვეყნებისათვის.

38. აქტივების დაგვიანებულ დეკლარირებასთან დაკავშირებით, საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან სანქციების გამოყენება ინტერესთა კონფლიქტისა და საჯარო სამსახურში კორუფციის შესახებ კანონით რეგულირდება. აღნიშნული კანონის საფუძველზე, დისციპლინური სანქციების გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც აქტივების დეკლარირება არ ხდება დადგენილი ვადის ფარგლებში. დეკლარაციის დაგვიანებულ ვადებში წარმოდგენა 1000 (450 ევრო) ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. არსებობს დასჯის სხვა მექანიზმებიც დისციპლინური სანქციებიდან დაწყებული, როგორცაა: საყვედური, გაფრთხილება ან სამსახურში უფლება-მოსილების დროებით - 10 სამუშაო დღით შეჩერება, სახელფასო ანაზღაურების შემცირება ერთი წლის ვადით, საჯარო სამსახურიდან დათხოვნით და ათი ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით. პიროვნებას ასევე შეიძლება უარი ეთქვას დაიკავოს სამთავრობო თანამდებობა.

39. 2012 წ. ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავრობა საჯარო სამსახურის სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით მზარდ ინტერესს იჩენს. დაარსდა საჯარო სამსახურის რეფორმების კოორდინაციის საბჭო, რომელსაც სახელმწიფო კანცელარიის უფროსი ხელმძღვანელობს და წარმოდგენილია ყველა ძირითადი სამინისტროს მინისტრთა მოადგილეებისა და პარლამენტის დონეზე. საჯარო სამსახურის ბიურო აღნიშნული საბჭოს სამდივნოა. საბჭომ დააფუძნა სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია 2014 წლის თებერვლისთვის საჯარო სამსახურის კონცეფციის მომზადება. სამუშაო პროცესის დაგეგმვა, კოორდინირება და მისი მეთოდოლოგიური გაფართოება USAID დამხმარე პერსონალის, ექსპერტების, აკადემიკოსებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმის ფორმირებით ხდება. თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების სამსახური წამყვან პოზიციას ინარჩუნებს საჯარო სამსახურის სისტემის რეფორმირების პროცესში, რაც განპირობებულია სხვა ქვეყნების რეკომენდაციების და გამოცდილების გაზიარებითა და მის მიერ წამოწყებული ახალი, პროგრესული პოლიტიკით.

40. ამჟამად თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალისთვის არ არსებობს რაიმე სახის ეთიკის კოდექსი, ხოლო სამხედრო პერსონალისთვის - ქცევის კოდექსი. სამხედრო პერსონალი სამხედრო სამსახურის დაწყებისთანავე სწავლობს სპეციალურ კანონებს, რომელიც დისციპლინას არეგულირებს, რაც სამხედრო სამსახურში მსახურის მთელი ვადის განმავლობაშიც გრძელდება. სამოქალაქო პერსონალს თავდაცვის სამინისტროში მუშაობის დაწყებამდე საჯარო სამსახურის კანონების, კერძოდ, ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციასთან დაკავშირებული კანონების ცოდნა მოეთხოვება. ამასთან, თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი ადგენს თანამშრომლის სახელმძღვანელოს. აღნიშნულ სახელმძღვანელოში, საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოცემული იქნება კორუფციასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რეგულაციები. მისი დასრულებისთანავე, სახელმძღვანელო თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელს დაურიგდება. ამჟამად, აღნიშნული დეპარტამენტი თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის ეთიკის შიდა კოდექსზეც მუშაობს. თავდაცვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს ნორვეგიასთან, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-სთან ახალი კოდექსის შემუშავებაზე, რომლის დამტკიცებაც 2014 წელს უნდა მოხდეს. აქედან გამომდინარე, ყველა პერსონალი შესაბამის წვრთნებს გაივლის. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტთა საბჭო დაჟინებით ითხოვს აღნიშნული სამუშაოს, როგორც პრიორიტეტის დასრულებას პროფესიული განვითარების პროგრამის მიერ გაწეული სამუშაოს ფარგლებში. ნატოს ექსპერტები მზად არიან შემდგომი დახმარების აღმოსაჩენად.

41. ადამიანური რესურსების მართვის ყველა სფეროში მოხდა ძირითადი ნაკლოვანებების გაცნობიერება, განსაკუთრებით კი იმ ნაკლოვანების, რომელიც კორუფციასთან რისკებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, თავდაცვის სამინისტროში შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების კონცეფტუალური დოკუმენტი და მთლიანი სისტემის რეფორმირების სამოქმედო გეგმა. ზოგიერთი პრიორიტეტი რეფორმებთან დაკავშირებულ დირექტივებს, განხორციელების შეფასებას, დაწინაურებას, პროფესიულ განვითარებას, მართვის პროცესსა და პროცედურებს მოიცავს. თავდაცვის სამინისტრომ ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს სერიოზული დახმარებით, უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ზოგიერთი მიმართულებით. ამჟამად, თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია რაიმე სახის კონკრეტული რეგულაციები იმ პერსონალთან დაკავშირებით, რომლებიც დანიშნულნი არიან სენსიტიურ თანამდებობებზე. აღნიშნულ თანამდებობებზე არ ვრცელდება პერსონალის როტაციის პრინციპი. ამის მიუხედავად, მოხდა ამგვარი თანამდებობების იდენტიფიცირება და შესაბამისი ანალიზი, იგეგმება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უცხოელ პარტნიორებთან ერთად მუშაობის დაწყება ოპტიმალური გზების გამოსავლენად, რათა მოხდეს აღნიშნულ თანამდებობებთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება. მოცემულ ეტაპზე არ არსებობს საიდუმლო დაშვების მოთხოვნა სენსიტიურ თანამდებობებთან მიმართებაში. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტთა საბჭო რეკომენდაციას იძლევა, გადადგმულ იქნას ნაბიჯები ამ საკითხთან დაკავშირებით.
42. სამოქალაქო პერსონალის დაწინაურებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება თავდაცვის მინისტრთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ ხდება წარდგენილ კანდიდატებთან გასაუბრების შედეგად. ამის შემდეგ დაწინაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ. შერჩევის პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები იწერება ოფიციალურ ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. გენერალურ შტაბში დაარსდა შერჩევის სპეციალური საბჭოები, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს დანიშვნასთან, დაწინაურებასა და საზღვარგარეთ სამხედრო კურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება. აღნიშნული კომისიების გადაწყვეტილებები ცხადად გამოკვეთილ და ობიექტურ კრიტერიუმებს ეფუძნება (შესაბამისი განათლება, კარიერული განვითარება, შეფასებები, მიღებული ჯილდოები და ფიზიკური შესაბამისობა), რომელთა დასაბუთებაც ზედმიწევნით ზუსტად ხდება ოფიციალურ ოქმებში. თავდაცვის სამინისტროში 2010 წ. შემოღებული იქნა მხოლოდ თანამდებობასა და წოდებაზე დაფუძნებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც სამხედრო პერსონალის დაწინაურებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, რაოდენობასა და საჭირო უნარ-ჩვევებს განსაზღვრავს.
43. ოფიცრები თანამდებობაზე რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე მსახურობენ (როგორც წესი, სამიდან ხუთ წლამდე). ამ ეტაპზე არ არსებობს

სამსახურის მინიმალური ან მაქსიმალური სახის მოთხოვნები. თუმცა სამომავლოდ, აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრა დაგეგმილი. შერჩევის საბჭოები წამყვან პოზიციებზე დანიშნვას განსაზღვრავს. რუტინულ თანამდებობებთან დაკავშირებული დანიშვნები კი ქვედანაყოფების მეთაურების მიერ ხორციელდება. 2014 წლიდან ახალი, ცენტრალიზებული სამხედრო პერსონალის განაწილებისა და დანიშვნის სისტემის დაარსება იგეგმება. ასევე შემოღებული იქნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე პერსონალის დაწინაურების სისტემა.

44. ამჟამად სამხედრო პერსონალისთვის არ მიმდინარეობს კორუფციის რისკებსა და თავდაცვის სისტემაში ეთიკასთან დაკავშირებული ტრენინგები. მომავალ წელს ეროვნული სამხედრო აკადემია და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა აკადემიურ პროგრამებსა და ოთხწლიან საბაკალავრო პროგრამაში, ასევე უმცროს ოფიცერთა სკოლა, კაპიტნის საკარიერო სკოლა და სამეთაურო საშტაბო სკოლა კეთილსინდისიერების ამაღლების საგნის დამატებასა და კომბინირებას გეგმავენ. სერჟანტთა სკოლას ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის არ გააჩნია ისეთი საგანი, რომელიც დაკავშირებულია ეთიკასთან, კეთილსინდისიერებასა და შესაბამის ყოფაქცევასთან.
45. სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის სახელფასო განაკვეთი და სახელფასო დანამატი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, მინისტრის ბრძანების საფუძველზე რეგულირდება. მისი ნახვა თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე შესაძლებელი. თავდაცვის სამინისტროს ფინანსების სამმართველო ახდენს ხელფასებისა და თანამშრომლების სხვა სახის ფულადი სარგოს გამოთვლას, ამზადებს საშტატო და სახელფასო ანგარიშებს, გასცემს ხელფასებს და აწარმოებს ყველა სახის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ აღრიცხვას. სამეთაურო ინსტანციებს არანაირი გავლენა არ აქვს ხელფასების და ფულადი დახმარების გაცემის პროცესზე. სპეციალური პრემიების სახეები გაწერილია თავდაცვის მინისტრის ბრძანებაში, რომელიც მოიცავს საფრთხის შემცველი მოვალეობის შესრულებას, კლასიფიცირებული ინფორმაციის კონტროლს, მგზავრობასთან დაკავშირებულ თანხასა და სხვ. 2012 წლის ბოლოს თავდაცვის სამინისტროში მოხდა სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის სახელფასო სკალის გადასინჯვა. აღნიშნულ პროცესში გამოვლინდა, რომ წინა ადმინისტრაციის დროს, სახელფასო დანამატების გაცემა მეტწილად მინისტრის შეხედულებისამებრ ხდებოდა, რომელიც არ საჭიროებდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ოფიციალურ დასაბუთებას. ახალმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა გაურკვეველ და დაუსაბუთებელ დანამატებზე, რამაც თავდაცვის სამინისტროს საშუალება მისცა ხელფასები სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის 89 %-ისთვის საშუალოდ 25%-ით გაეზარდა. 2013 წლის დასაწყისში თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვნად გაზარდა ავღანეთში მყოფი სამხედრო პერსონალის ფულადი დახმარება. თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს შეიარაღებული ძალები წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე გადასვლაზე მუშაობენ, რაც გააუმჯობესებს

საკარიერო მართვასა და ოფიცერთა და სერჟანტთა კორპუსის პერსონალის უნარ-ჩვევებს. მოხდა სამოქმედო გეგმის დამტკიცება, წოდებრივი ანაზღაურების სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა 2014 წლიდან, ოფიცრებისგან დაიწყება. სერჟანტთა წოდებრივ ანაზღაურებაზე გადასვლა 2015 წლისთვის არის დაგეგმილი. უკვე არსებობს სამტატო სტრუქტურა და სამხედრო სამუშაოს აღწერა. ახალი სისტემის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური გათვლები კი უკვე დასრულებულია. ამჟამად J1 და საფინანსო დეპარტამენტი ამუშავებენ სქემას, რომელშიც გაერთიანებული იქნება დარიცხული ხელფასი, წელთა ნამსახურების შედეგად ხელფასის ზრდა და ყველა სახის პრემია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და საჯარო სექტორისთვის უკეთ იქნება აღქმული თავდაცვის სამინისტროს პერსონალის არსებული სახელფასო განაკვეთი.

46. სახელმწიფო სამსახურის აუდიტი უფლებამოსილია განახორციელოს ფინანსური, ეფექტიანი და შესაბამისობის აუდიტი. არსებული ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და იმგვარად ორგანიზებას, რომ მასში ასახული იყოს საერთაშორისო სტანდარტები, მთავრობის ანტიკორუფციული გეგმის მნიშვნელოვანი მცდელობაა. თავდაცვის სამინისტროში აუდიტი ბოლოს 2006 წელს ჩატარდა. 2013 წლის მაისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა პრესრელიზი, სადაც ნათქვამი იყო, რომ თავდაცვის სამინისტროში აუდიტი მას შემდეგ არ ჩატარებულა და მოუწოდა თავდაცვის სამინისტროს, მომხდარიყო მისი დანახარჯების და ეფექტურობის დეტალური შესწავლა. ამის შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ საჯაროდ გამოაქვეყნა მის მიერ მიღებული ზომები, რომელიც მიზნად ისახავდა უწყების ფინანსური გამჭვირვალობის ზრდას და მოითხოვა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დაეწყო მისი ფინანსების აუდიტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავდაცვის მინისტრის შემოთავაზებაზე თანხმობა განაცხადა. 2013 წლის ივლისში შესაბამისობის აუდიტის პროცესი დაიწყო. ინსპექციის ჯგუფი, რომელიც ათამდე კაცით არის დაკომპლექტებული 2011, 2012 და 2013 წლების გადახედვას ახორციელებს. აუდიტის დასრულება 2014 წლის მარტისთვისაა დაგეგმილი.

რეკომენდაციები:

47. ადამიანური რესურსების სფეროში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, ნატოს კეთილსინდისიერების ამალგების ექსპერტთა საბჭო გამოდის რეკომენდაციით, რომ მოხდეს რესურსების მართვის კონცეპტუალური დოკუმენტის განახლება ეთიკის კოდექსის გათვალისწინების მიზნით, კერძოდ:

ა. მოხდეს კორუფციული რისკების შემცველი თანამდებობების გამოყოფა, რომლებიც სპეციალურ შემოწმებასა და გადახედვის პროცედურებს საჭიროებს, რაც ადამიანური რესურსების რეფორმის ძირითადი ელემენტია;

ბ. დაიწყოს სისტემური ანტი-კორუფციული ტრენინგ პროგრამა და თავდაცვის სამინისტროში პოტენციური კორუფციული საქმიანობის აღმოჩენასთან დაკავშირებული ტრენინგი, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პერსონალისათვის;

გ. შეიქმნას ქვევის კოდექსი სამინისტროს მთელი პერსონალისთვის, რომელიც იქნება გასაგები, შესაბამისი და მოკლედ წარმოსადგენი. უზრუნველყოფილ იქნას, რომ ახალმა პოლიტიკამ ასახოს კოდექსში წარმოდგენილი რეგულარული ტრენინგების მოთხოვნა;

დ. შეიქმნას ეთიკისა და კეთილსინდისიერების, განათლებისა და ტრენინგის მოდულები, რომლებიც შეტანილი იქნება ეროვნული თავდაცვის აკადემიის, კადეტთა სკოლის სასწავლო პროგრამაში, ოფიცერთა დაწყებით და უმაღლეს კურსებზე, სამეთაურო საშტაბო სკოლისა და სერჟანტთა სკოლის პროგრამებში.

დაგეგმვა და ბიუჯეტირება

48. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სრულიად არ არსებობდა შესყიდვების დაგეგმვისა და ფინანსური მართვის სრულფასოვანი სისტემა, რომელიც მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ფინანსური მართვისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. თავდაცვის ბიუჯეტი შემუშავდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ და მისი პროექტი ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებაში. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ეგზავნება განსახილველად საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს აქვს სპეციალური მოსმენები სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაცვის თავთან დაკავშირებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე იდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი თავდაცვის თავის ჩათვლით, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტის დამტკიცებული ვარიანტი იდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
49. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ აქვს შესყიდვების დაგეგმვის განსაზღვრული პროცედურა, თუმცა მისი დანერგვის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხოელ პარტნიორებთან, კერძოდ ა.შ.შ.-ის თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის ჯგუფთან და ა.შ.შ.-ის

თავდაცვის მრჩევლებთან. გასული თვეების განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ რიგი სამუშაო შეხვედრები და სასწავლო ღონისძიებები ჩაატარა მოკლე და გრძელვადიანი შესყიდვების დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა რესურსების მართვის სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები არიან უწყების დეპარტამენტებისა და სამმართველოების უფროსები, ვისაც აქვთ შეხება რესურსების დაგეგმვასთან, შესყიდვებთან და ფინანსურ მართვასთან. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური მართვის დეპარტამენტის ბიუჯეტის სამმართველოს უფროსი. სამუშაო ჯგუფში არიან მოწვეული ორი გარე ექსპერტი დაგეგმვისა და ბიუჯეტირების საკითხებში სიღრმისეული გამოცდილებით. აღნიშნული ჯგუფი, ასევე პასუხისმგებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს 2014-2017 წლებს (საქართველოს მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად). შემუშავდა 2014 წლის თავდაცვის რვა პროგრამა ფინანსური მართვის დეპარტამენტის მიერ, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა რესურსების მართვის სამუშაო ჯგუფთან, თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტთან და გენერალური შტაბის წარმომადგენლებთან. პროგრამული ბიუჯეტის დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფმა მუშაობა განაგრძო შესყიდვების გეგმის შემუშავებაზე, რომელიც განსაზღვრულია პროგრამულ ბიუჯეტში პრიორიტეტებისა და საჭიროებების სახით. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებს, რომელიც გაწერილია თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის იმპლიმენტაციის გეგმასა და მინისტრის ხედვა 2013-2014 დოკუმენტში. მთავარი სისუსტე გამოვლინდა ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესში: სისტემური ინფორმაციის არ არსებობა გასული წლების მაგალითზე და საერთაშორისო ბუღალტრულ სტანდარტებთან შეუსაბამობა. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივის ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თანამშრომლობა გააგრძელოს ა.შ.შ.-ის თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის ჯგუფთან და ა.შ.შ.-ის თავდაცვის მრჩევლებთან.

50. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბიუჯეტირების პროცესს კოორდინაციას უწევს ფინანსური მართვის დეპარტამენტი. ის წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში იმ ერთადერთ ელემენტს, რომელიც უშუალოდ თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. აღნიშნული დეპარტამენტი წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონსოლიდირებულ საბალანსო მოხსენებებს (consolidated balance sheets) საბიუჯეტო კანონის ფარგლებში გაწერილი ვადების მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობა უკრძალავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მიიღოს ფინანსური სახსრები ცენტრალური მთავრობის ფონდის გარდა სხვა წყაროებიდან. ასევე, თავდაცვის ბიუჯეტის განხილვა საქართველოს პარლამენტში არის საჯარო და მაუწყებლობს ეროვნული ტელეკომპანიის არხზე, აღნიშნული განხილვების გარდა, სხვაგან არსად ხდება თავდაცვის

ბიუჯეტის განხილვა. მოქმედი კანონი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე და პრეზიდენტის ბრძანებულება (20 იანვარი 1997) თავდაცვის ბიუჯეტის სრულიად გასაჯაროებას კრძალავს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაზე კანონის გადახედვის პროცესი, რომელსაც განიხილავს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნულ პროცესს მართავს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, რომელმაც უნდა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებები. ცვლილებების შემდეგ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გაზრდის გამჭვირვალობის ხარისხს სამინისტროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ასევე თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაძლებლობა მიეცემა, აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, მინიმალიზაცია გაუკეთოს გადაუდებელი შესყიდვების მოცულობას, მნიშვნელოვნად შეამციროს საიდუმლო შესყიდვები, შეიმუშავოს უფრო დეტალური შესყიდვების ადმინისტრირების ინფრასტრუქტურა და უფრო აქტიურად ჩართოს სამოქალაქო სექტორი ღია შესყიდვების პროცესის მონიტორინგში.

51. საბიუჯეტო წელი 1 მარტს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებით იწყება. მას შემდეგ, რაც მთავრობა მიიღებს ძირითადი ინფორმაციისა და **დირექტივების შემცველ** დოკუმენტს, თავდაცვის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო მოთხოვნებს წარუდგენს. თავდაცვის სამინისტრო იღებს ინფორმაციას ბიუჯეტის ზედა ზღვარის შესახებ და ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვარტალურად და ყოველთვიურად თანხის გადანაწილების სქემას. გასული წლების ხარჯები თავდაცვის სფეროში არ არის გამოქვეყნებული არც სამინისტროს ვებგვერდზე, არც რაიმე სხვა გზით. თუმცა, სამინისტრომ წამოიწყო საკანონმდებლო შესწორება, რომლის მიხედვითაც, მინისტრს ეკისრება ვალდებულება, ყოველწლიურად წარუდგინოს პარლამენტს ანგარიში საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტროს ფინანსური მართვის დეპარტამენტი გადახდებს აწარმოებს სამინისტროსა და შეიარაღებული ძალებისგან მიღებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე, მხოლოდ მაშინ თუ ყველა დოკუმენტი, შეთანხმება, ინვოისი და კონტრაქტი არის ზუსტი და რეგულაციებთან თანხვედრაში მოდის. მიმდინარე ხარჯები ძირითადად არ აღემატება საბიუჯეტო შეთანხმებით გათვალისწინებულ თანხას.

52. კანონი სახელმწიფო საკუთრებაზე განსაზღვრავს პროცედურებს, სახელმწიფო ქონების მართვას, მასთან მოპყრობასა და უტილიზაციას. დამატებითი რეგულაციების სახით, სახელმწიფო ქონების სამხედრო მიზნებისათვის უტილიზაცია, გადაცემა და განადგურება ან სხვა სახის პროცედურები განსაზღვრულია პრეზიდენტის ბრძანებულებაში ქონების გადაადგილების პროცედურებში (Presidential Decree on Procedures for Asser Disposal). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქვს უფლება, გადასცეს თავის

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სხვა სახელმწიფო ორგანოს უტილიზაციისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე. დამატებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია გადასცეს სახელმწიფო საკუთრება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უსასყიდლოდ, გარკვეული თანხის ფასად ან აუქციონის საშუალებით. აღნიშნული ღონისძიებები მოითხოვს პრეზიდენტის ან მთავრობის ნებართვას. ვადაგასული ან უვარგისი სამხედრო შეიარაღებისა და ტექნიკის ჩამოწერა ხორციელდება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე. ჩამოწერილი სამხედრო ტექნიკა ეძლევა გასანადგურებლად სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ დელტას. თუ თავდაცვის სამინისტრო გადაწყვეტს მის მფლობელობაში მყოფი რაიმე სახის ქონების გაყიდვას, იგი ვალდებულია, გადასცეს აღნიშნული საქონელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც ვალდებულია გაყიდოს პირდაპირი წესით ან ჩაატაროს აუქციონი. ყოველგვარი შემოსავალი, რომელიც მიღებულია ამ სახის ღონისძიებებისგან, უნდა გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას.

53. აქტივების გამოყენების დებულებები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. თუმცა თავდაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ არ გააჩნია ერთიანი, სრულყოფილი სისტემა ინფორმაციის კონსოლიდაციისთვის არსებულ მარაგებსა და აქტივებზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, თავდაცვის სამინისტრომ მუშაობა დაიწყო პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რაც მას საშუალებას მისცემს შეიმუშავოს, ერთიან სტანდარტში მოაქციოს და მის ქონებასა და მარაგებზე შეინარჩუნოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა. აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა ნატოს სტანდარტებთან იქნება შესაბამისობაში და დაკავშირებული იქნება თავდაცვის სამინისტროს პროგრამულ უზრუნველყოფასთან. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესის ადმინისტრირება „დელტას“ ცენტრის მიერ ხორციელდება, სადაც აღნიშნული პროცესის კოორდინირება და ზედამხედველობა სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება.

რეკომენდაციები:

- ა. პარლამენტთან თანამშრომლობით უზრუნველჰყოს კანონში „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საჭირო ცვლილებების მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის შედგენისა და შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას.
- ბ. შესყიდვების სისტემის მიმოხილვა, რომელიც აქცენტს გააკეთებს შესაბამის დაგეგმვასა და ანალიზზე, მათ შორის, მოთხოვნების განსაზღვრიდან საქონლისა და მომსახურების მიწოდების ჩათვლით.
- გ. პროგრამული სისტემის უზრუნველყოფა და ინსტალაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ფინანსური ბაზის შენახვასა და შესაბამისი გეგმის

შემუშავებას, პერსონალის გადამზადებისათვის საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესწავლის მიზნით.

ოპერაციები

54. არ არსებობს კონკრეტული სამხედრო დოქტრინა, რომელიც არეგულირებს კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებს მშვიდობიანობისა და კონფლიქტის პერიოდში. შესაბამისად, მეთაურებს არ გააჩნიათ შესაბამისი ტრენინგი ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში. ანტი-კორუფციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციებთან, არ წარმოადგენს გადასროლის წინა მომზადების ან ტრენინგის შემადგენელ ნაწილს საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებისათვის და არ არსებობს განსაზღვრული სასწავლო მოდულები, რომლებიც გამიზნულია ოპერაციებიდან მომდინარე საფრთხეებსა და რისკებზე საპასუხოდ. თუმცა თავდაცვის სამინისტროს გააჩნია გაწვრთნილი სამხედრო პოლიცია, რომელიც მონიტორინგს უწევს კორუფციულ რისკებსა და ინციდენტებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოპერაციების არეალში. სამხედრო პოლიციის პირადი შემადგენლობის მიერ არცერთი კორუფციული შემთხვევა არ იქნა იდენტიფიცირებული ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ოპერაციების მსვლელობისას.

55. როგორც ჩანს, არ არსებობს შესყიდვების პროცესის სამართლებრივი მექანიზმები კონფლიქტურ გარემოში, როდესაც გადაუდებელი ოპერატიული მოთხოვნები ჩნდება, თუმცა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, გარკვეული პერსონალი უფლებამოსილია, აწარმოოს შესყიდვა განსაზღვრული ფინანსური რესურსების ფარგლებში საგანგებო შემთხვევების დროს. არ არსებობს სპეციალიზირებული ტრენინგები ასეთი შემთხვევებისთვის, თუმცა გარკვეული საინფორმაციო ბრიფინგები ტარდება სამხედრო ქვედანაყოფების საფინანსო სამსახურების მიერ. არ არსებობს გამოცდილების შესწავლის სისტემატური ანალიზი. ნატოს კეთილსინდისიერების ამაღლების ექსპერტთა ჯგუფი გამოყოფს კორუფციას, როგორც მაღალი უსაფრთხოების რისკს სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან ოპერაციებსა და მისიებში. ამან ასახვა უნდა ჰპოვოს ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე ოპერაციებისა და მისიების დაგეგმვის პროცესში.

ოპერაციები

ა. განხორციელდეს კორუფციის, როგორც უსაფრთხოების რისკის მოდულის შემუშავება გადასროლის წინა წვრთნებისათვის.

ბ. ჩამოყალიბდეს ქვედანაყოფებიდან მიღებული გამოცდილების ანალიზის სისტემა;

გ. დაქირავებული პირებისათვის სპეციალური ტრენინგების პროგრამის შექმნა და საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთ საქართველოს ქვედანაყოფებში კორუფციის რისკის შემცირების მიზნით მათი მივლინება

56. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული კანონები არ გააჩნია. სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება კანონით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებისათვის ზოგად იურიდიულ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს ადგენს. ყველა ეს წესი ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვებზე, გარდა იმ შესყიდვებისა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და საქართველოს კანონით „საიდუმლო შესყიდვების“ შესახებ განისაზღვრება. გარდა ამისა, არსებობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ხუთი ბრძანება, რომლებიც დეტალურად ადგენს შესყიდვების გამარტივებულად ჩატარების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერების წესებს, ასევე სამთავრობო უწყებებისათვის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
57. ფინანსურ საქმიანობაზე გაზრდილი საპარლამენტო ზედამხედველობის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობაში ინიცირებული იქნა სამი შესწორებისა და ცვლილებათა პროექტის პაკეტი, რომელიც დამტკიცებული იქნა 2013 წლის ივნისში. ამ ინიციატივების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იქნება თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტს აცნობოს დაგეგმილი ღია შესყიდვების შესახებ, როცა შესასყიდი პროდუქცია აღემატება 2 მილიონ ლარს (900,000 ევრო), ხოლო სამშენებლო მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში 4 მილიონ ლარს. საიდუმლო შესყიდვების შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტრო ინფორმაციას ნდობის ჯგუფს მიაწვდის. ერთ-ერთი ასეთი შესყიდვა შეესაბამებოდა ზემოთხსენებულ კრიტერიუმს და ნდობის ჯგუფი ინფორმირებული იქნა ამ ღონისძიების შესახებ. ამასთან, ყოველი წლის ბოლოს მინისტრი ვალდებულია წარდგეს პარლამენტის წინაშე მოხსენებით თავდაცვის სამინისტროს საქმიანობასა და გაწეული ხარჯების შესახებ. 2013 წელს 32.8 (13.9 მილიონი ევრო) მილიონი ლარის ღირებულების კონფიდენციალურ კონტრაქტებს მოეწერა ხელი.
58. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი გეგმავს და მართავს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებს ცენტრალიზებული სისტემის საშუალებით. ბრიგადის მეთაურები ახორციელებენ მცირე მასშტაბის შესყიდვებს, თუ პროდუქციის ღირებულება არ აღემატება 3, 500 ლარს (1600 ევრო). თავდაცვის სამინისტროს სსიპ-ებს: სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტა“-ს, საქართველოს ეროვნულ სამხედრო აკადემიას, კადეტთა სამხედრო ლიცეუმსა და საქართველოს სამხედრო ჰოსპიტალს გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტი და მოქმედებენ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

59. შესყიდვებთან დაკავშირებული მოთხოვნები ბრიგადებიდან მიდის ოპერატიულ სარდლობებში. მოთხოვნის ერთი ასლი იგზავნება ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში, ერთი ასლი J4 დეპარტამენტში, ხოლო ერთი ასლი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს ეგზავნება. თუ საწყობში არსებული მარაგები აკმაყოფილებს მოთხოვნას, ლოგისტიკის უზრუნველყოფის სარდლობა აკმაყოფილებს მოთხოვნას და გადასცემს შესაბამის საწყობს. თუ მოთხოვნილი ნივთები არ არის მარაგში, მაშინ სარდლობა გადასცემს მოთხოვნას J4-ს და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი შესყიდვების პროცესს იწყებს შესყიდვების გეგმის შემუშავებით, შესასყიდი ნივთების რაოდენობისა და მომსახურების განსაზღვრით, განსაზღვრავს საცალო ფასსა და მომსახურებას და წარმოადგენს საბოლოო შესყიდვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. საბოლოო შესყიდვის გეგმას იხილავს დეპარტამენტის უფროსი, რომელიც თავის მხრივ, აგზავნის გეგმას პასუხისმგებელ მინისტრის მოადგილესთან დასამტკიცებლად. დამტკიცებული გეგმის მიღების შემდეგ, დეპარტამენტის უფროსი შესაბამის შესყიდვების მენეჯერს ავალებს დადგენილი შესყიდვების პროცედურის დაწყებას. შესყიდვების მენეჯერების შერჩევა ხდება თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული ღია კონკურსის მეშვეობით. ამჟამად, შვიდი შესყიდვების მენეჯერი მუშაობს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოში.
60. 2009 წელს არსებულ კანონში მიღებული იქნა ცვლილებები ელექტრონული შესყიდვების შემოღებასთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტროს ყველა ღია შესყიდვა ცხადდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე მისი ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენებით. 2013 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით 196.5 მილიონი ლარის ღირებულების 230 ტენდერი იქნა გამოცხადებული. გამოცხადებული ტენდერებიდან 47.4 მილიონი ლარის (20.3 მილიონი ევრო) ღირებულების 98 ტენდერის კონტრაქტს მოეწერა ხელი, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვანი დანაზოგის, დაახლოებით 5.1 მილიონი ლარის (2.2 მილიონი ევრო) დაზოგვა მოხდა. ნებისმიერი შესყიდვა, რომელიც 200,000 ლარს აღემატება უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით. დაინტერესებული მყიდველები ტვირთავენ თავიანთ შეთავაზებას ვებ-გვერდზე იმავე სისტემის გამოყენებით და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს საშუალება ეძლევა, იხილოს სამინისტროს განცხადება, ასევე შეთავაზების დოკუმენტები დადებული მყიდველის მიერ. სისტემა ასევე მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მისდიოს შესყიდვის პროცესს ბოლომდე. ჩვეულებრივი ელექტრონული ტენდერები ცხადდება 200,000 ლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტებზე და გამოცხადებიდან აქტივიზაციამდე არის მინიმუმ 20 დღე. გამარტივებული ელექტრონული ტენდერები ცხადდება 200,000 ლარზე ნაკლები ღირებულების კონტრაქტებზე და გამოცხადებიდან აქტივიზაციამდე არის მინიმუმ 3 დღე. ერთადერთი განმასხვავებელი მახასიათებელი კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერების არის ის, რომ ისინი პირდაპირ სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს მიერ იმართება. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე. კონფიდენციალური სახელმწიფო შესყიდვა არ ხორციელდება ელექტრონული სისტემით.

61. ელექტრონული ტენდერი იმართება სატენდერო კომისიის მიერ, რომელიც შედგება თავდაცვის სამინისტროს მინიმუმ სამი წარმომადგენლისგან (ძირითადად დეპარტამენტის უფროსები), რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს მინისტრის მოადგილე. კომისიას უფლება აქვს კომისიის მუშაობაზე დაკვირვების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის ექსპერტები ან კონსულტანტები (მათ შორის არასამთავრობო) მხოლოდ ხმის მიცემის უფლების გარეშე. კომისიის ტექნიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება სამდივნო, რომელიც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისგან შედგება. გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისათვის სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გადანაწილდება, კომისიის თავმჯდომარის ხმა გადაწყვეტია და კომისიის ოქმს ხელი ეწერება კომისიის წევრების მიერ. თუ კომისიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება სატენდერო გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული აზრი წერილობით. კომისია განიხილავს თითოეულ შეთავაზებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მოცემულია შესყიდვების განაცხადში და საჯაროდ ხელმისაწვდომია. არც კანონი და არც სამინისტროს შიდა რეგულაციები განსაზღვრავენ სატენდერო კომისიის წევრებისათვის დამატებით კვალიფიკაციას ან ტრენინგ მოთხოვნებს. ამჟამად, თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია შიდა რეგულაციები ან ქცევის კოდექსი კომისიის წევრებისათვის, თუმცა, კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ თანახმად, ტენდერში მონაწილე კომპანიის დირექტორის ახლო ნათესავები ან პირები, რომლებიც წილებს ფლობენ ტენდერში მონაწილე კომპანიებში, არ შეიძლება დანიშნულნი იყვნენ სატენდერო კომისიის წევრებად. ტენდერში მონაწილე კომპანიების ხელმძღვანელების ახლო ნათესავები და თანამშრომლები არ შეიძლება მოწვეულნი იყვნენ შესყიდვების დაგეგმვის, დანერგვის ან ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად ან როგორც ექსპერტები ან კონსულტანტები და რომ კომისიის წევრებს, ექსპერტებს და კონსულტანტებს მოეთხოვებათ წერილობით დაამოწმონ, რომ მათი მონაწილეობა შესყიდვების პროცესში არ არღვევს შესაბამის რეგულაციებს.
62. თავდაცვის სამინისტრომ მკვეთრად გაზარდა ღია ტენდერების გამოყენება და საგრძნობლად შეამცირა დახურული შეთავაზების პროცედურების რაოდენობა. ამან მკვეთრად გააუმჯობესა გამჭვირვალობა და მოსალოდნელია, რომ ამ ტენდენციის გაგრძელება იქნება თავდაცვის სამინისტროს მთავარი ამოცანა. აღსანიშნავია, რომ ღია ტენდერების შემთხვევაში, სატენდერო განცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალურ მოდულზე იტვირთება (ePLAN), ხოლო საიდუმლო ტენდერები იბეჭდება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბეჭდურ ფორმატში მიეწოდება.

63. კანონი მოითხოვს სტანდარტული პროცედურების დოკუმენტებს და უზრუნველყოფს დეტალურ სიას, რას უნდა მოიცავდეს. სატენდერო კომისიას მოეთხოვება, რომ დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა მყიდველს და გაარკვიოს ისინი გაყიდვების დოკუმენტებში. როდესაც შესყიდვის პროცესი დასრულდება და გამოვლინდება გამარჯვებული, შესყიდვების მენეჯერი ამზადებს კონტრაქტს და გადასცემს დასამტკიცებლად შესყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და შესაბამისი სფეროს წარმომადგენელ მენეჯერს. დამტკიცებული კონტრაქტი იგზავნება თავდაცვის სამინისტროს მონიტორინგის სამმართველოში. სამმართველო ამოწმებს კონტრაქტს და აგზავნის მის ასლებს ფინანსური მენეჯმენტის/მართვის დეპარტამენტში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტში, ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობაში, მიმწოდებელ და სხვა მსგავს დეპარტამენტებში თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალებში. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ადგენს ყველა სატენდერო დოკუმენტაციას და აგზავნის მათ ფინანსური მენეჯმენტის/მართვის დეპარტამენტში განხილვისთვის. საბოლოოდ კიდევ ერთხელ შედის შესწორებები დოკუმენტაციაში და თუ ყველაფერი არის კანონის შესაბამისად, ფული გადაერიცხება მიმწოდებელს. თუ დოკუმენტში აღმოჩნდება შეცდომა, ციკლი იწყება თავიდან.
64. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებს კანონის და რეგულაციების შესაბამისად, არის უამრავი მტკიცებულებები, რომ ადრე ყველა ასპექტის შესრულება სახელმწიფო შესყიდვებზე ხორციელდებოდა ძალიან სუსტად. მნიშვნელოვანი, ქმედითი და ეფექტური შესყიდვების პროცესის განვითარება არის მნიშვნელოვანი გამოწვევა თავდაცვის სამინისტროსთვის და პრიორიტეტებშიც არის განსაზღვრული. როგორც 2013-2014 წლის მინისტრის ხედვაში არის აღნიშნული, თავდაცვის სამინისტროს ამოცანაა, უზრუნველყოს ეფექტური ფინანსურ-მატერიალური რესურსების განაწილება, მნიშვნელოვნად შეამციროს კლასიფიცირებული შესყიდვები, შეიმუშავოს უფრო დეტალური შესყიდვების ადმინისტრაციული ინსტრუქციები, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა და მონიტორინგი ღია შესყიდვებით. ეს ქმედებები არის მთავარი, ისევე როგორც წინა წლებში თავდაცვის სამინისტრო იყო მუდმივად გაკრიტიკებული საექვო შესყიდვების განხორციელებისათვის, როდესაც შესყიდვების დიდი უმრავლესობა ხდებოდა დახურული ტენდერების მეშვეობით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს ღია ტენდერების წარმოების ნაკლები გამოცდილება აქვთ.
65. შესყიდვებზე ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია და რომელიც პასუხისმგებელია შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციასა და მონიტორინგზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ექვემდებარება

საქართველოს პრემიერ-მინისტრს. სააგენტოს მოეთხოვება შეამოწმოს და ანალიზი ჩაუტაროს ყველა სახის მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვებს და სამთავრობო უწყების მიერ წარმოდგენილ შესყიდვების ანგარიშებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჰყავს სპეციალური ჯგუფი, რომელიც შედგება შესყიდვების სააგენტოს სამი და სამთავრობო ორგანიზაციების სამი წევრისგან, რომლებიც იხილავენ შემოსულ საჩივრებს. სახელმწიფო აუდიტის ოფისს ასევე აქვს უფლება, შეამოწმოს ღია/საჯარო კონტრაქტები. თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ასევე მოეთხოვება, რეგულარულად აწარმოოს მონიტორინგი შესყიდვების პროცესზე, რაც ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა ბოლო პერიოდში. 2012 წლის ოქტომბრიდან გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა შვიდი სხვადასხვა ცალკეული აუდიტური შემოწმება. ასევე, გეგმიური აუდიტური შემოწმებები ჩატარდა 2012-2013 წლის ოქტომბერში სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მიერ.

66. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩასატარებლად, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ადამიანური ფაქტორი, რათა არ მოხდეს ინტერესთა კონფლიქტი.

ა. კვალიფიკაციის, ინფორმაციის და ტენდერში მონაწილეობის მიმოხილვა, შერჩევა და შეფასება

ბ. მოლაპარაკებების გამართვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გ. კონტრაქტების შესრულების ზედამხედველობა და კონტროლი.

დ. მომწოდებლის შერჩევა გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში.

ე. დიზაინის საკონკურსო განაცხადის განხილვა და მომწოდებლის შერჩევა კონკურსის მეშვეობით;

ვ. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვა.

67. კონტრაქტის ხელმოწერის წინ გამარჯვებული მხარე წარადგენს ტექნიკურ დოკუმენტაციას და შესაბამისობას პროდუქტის მოთხოვნებთან. თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები ახორციელებენ ხარისხის კონტროლს, მიწოდებული სამსახურისა თუ აღჭურვილობის ხასიათის შესაბამისად. უძრავი ქონება, საწვავი და სურსათის ხარისხის შესაბამისობა კონტრაქტით გათვალისწინებულთან მოწმდება ლოგისტიკური მხარდაჭერის სარდლობის მიერ. თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია შესყიდული საქონელი და დოკუმენტაცია საექსპერტო შეფასებისათვის გააგზავნოს სახელმწიფო ეროვნულ კრიმინალისტიკურ ბიუროში ან შპს „Air Fuel Service“-ში. თუ შესყიდული საქონელი ან პროდუქტი არ შეესაბამება ტენდერის და ხელშეკრულების მოთხოვნებს, დამრღვევთა მიმართ შეიძლება გამოყენებული

იქნას ისეთი სანქციები, როგორცაა დაჯარიმება, ზარალის ანაზღაურება და თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში შემდგომში მონაწილეობის აკრძალვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს დისკვალიფიცირებული პირების ერთიან რეესტრს და ასევე გააჩნია „მისაღები“ კონკურსანტების სიაც.

68. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ერთი წყაროსგან შესყიდვებს შეეხება მოითხოვს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტმა მოიძიოს ალტერნატიული წყაროები და შეამოწმოს ფასები, ვიდრე აირჩევდეს საუკეთესო ვარიანტს. არ არსებობს სპეციალური კომიტეტი თავდაცვის სამინისტროს შიგნით, რომელიც იმუშავებს საიდუმლო შესყიდვებზე და სულ ცოტა ხნის წინ, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების 22.4% სწორედ საიდუმლო შესყიდვებზე მოდიოდა.

69. თავდაცვის სამინისტრო ამჟამად არ იყენებს აგენტებს ან შუამავლებს შესყიდვებისათვის და არაა ჩართული მსგავს პროგრამებში.

70. „საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ განსაზღვრავს გამარტივებული შესყიდვის პროცესს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას კანონით საგანგებოდ განსაზღვრულ შემთხვევებში. კანონი საკმაოდ მოქნილია და ქმნის უფლებამოსილების გადაჭარბების რისკს. სატენდერო მოთხოვნების შემუშავების დროს რიგი პირობები უნდა იყოს დაცული, რათა შემსყიდველ სამთავრობო უწყებას არ შეეძლოს შესყიდვის მოთხოვნების კონკრეტულ მიმწოდებელზე მორგება. ნატოს შეფასების ჯგუფი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, მაგრამ დაიმედებულია იმ ინოვაციური მიდგომებით, რაც ინიცირებული იქნა თავდაცვის სამინისტროს მიერ.

რეკომენდაციები:

ა. მოკავშირეებთან და პარტნიორებთან კონსულტირების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს შესყიდვების გამართული სისტემის განვითარება და თავდაცვის სამინისტროს ყველა დეპარტამენტში, რომელიც ჩართულია შესყიდვების, ფინანსების და ბიუჯეტის საკითხებში, სათანადოდ მომზადებული პერსონალით დაკომპლექტების უზრუნველყოფა.

ბ. კვლავაც გაგრძელდეს არსებული ღია შესყიდვების პოლიტიკა და მისი პროცენტული წილის გაზრდა.

გ. მოხდეს სატენდერო კომისიის წევრების შერჩევის, დამოწმებისა და მომზადების სპეციალური პროცედურების და წესების განვითარება, ასევე შემუშავდეს პოლიტიკა სატენდერო კომისიის წევრების როტაციის საკითხზე.

დ. გაუმჯობესდეს შესყიდვების პროცესის ანგარიშვალდებულება, საიდუმლო შესყიდვების შემცირების მიზნით.

ე. მოხდეს ნატოსთან ერთად სპეციალიზებული კურსების შექმნა, რომლებზეც მოხდება შესყიდვების სპეციალისტების მომზადება გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ყველა ასპექტში.

ურთიერთობა თავდაცვით კომპანიებთან და სხვა მომწოდებლებთან

71. თავდაცვის სამინისტროს არსებული პოლიტიკაა უზრუნველყოს მიმდინარე ტენდერების მაქსიმალური საჯაროობა და შესყიდვების პროცესში მოიზიდოს კომერციული ორგანიზაციების მეტი რაოდენობა, რათა გაიზარდოს კონკურენცია. მონაწილეთა რაოდენობა თავდაცვის უწყების ელექტრონულ ტენდერებში აღემატება სხვა სამთავრობო უწყებებისას, ხოლო გამოცხადებული ღია ელექტრონული ტენდერების რაოდენობა 2013 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა დაახლოებით 800%-ით. არ არსებობს არანაირი პროცესუალური განსხვავებები ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის, შესყიდვების პროცედურებში მათი მონაწილეობისათვის.
72. არ არსებობს სავალდებულო ქცევის ან ეთიკის კოდექსი, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებისათვის, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს პრეტენდენტებისა და მომწოდებლების მონაცემთა ბაზას. კომპანიებმა უნდა დააკმაყოფილონ რამდენიმე მოთხოვნა და შემდეგ მოითხოვონ დამტკიცებულ პრეტენდენტთა სიაში მოხვედრა. მომწოდებლებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან ე.წ. „თეთრ სიაში“ უნდა განაახლონ მათი ინფორმაცია ყოველწლიურად, რათა შეინარჩუნონ რეგისტრაცია. ამჟამად არ არსებობს არანაირი ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ კომპანიებს შესაბამისი ეთიკის კოდექსი ჰქონდეთ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიაწინა, რომ იგი აპირებს შეიძინოს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, შეაფასოს კონკურსის მონაწილეები, მათი ეთიკური სტანდარტები და კეთილსინდისიერება. მთლიანობაში ნატოს შემფასებელთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ საქმიანი ურთიერთობები თავდაცვის სამინისტროსთან, გააჩნდეთ ქცევის კოდექსი.
73. სტატუსის „შესრულებულია“ მინიჭებამდე ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიებს უფლება აქვთ, მიმართონ შემსყიდველ ორგანიზაციას ან სატენდერო კომისიას ან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები ან ინტერესები დაირღვა. შემსყიდველი სააგენტო ვალდებულია შეაჩეროს შესყიდვების პროცესი საჩივრის განხილვისას. თუ საჩივარი დადასტურდა, სააგენტოს შეუძლია დაავალოს შემსყიდველ ორგანიზაციას მისი გადაწყვეტილების გადახედვა. სააგენტომ 10 დღეში უნდა შეატყობინოს აპელანტს

გადაწყვეტილების შესახებ და განათავსოს გადაწყვეტილება თავის ვებ-გვერდზე. შემსყიდველ სააგენტოს აქვს 10 დღის ვადა გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად. საბოლოო გასაჩივრება ხდება სასამართლოში. 2013 წლის 14 ნოემბრისათვის 33 გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული.

რეკომენდაციები:

ა. დადგინდეს, არის თუ არა საჭირო კანონმდებლობა, რათა კომპანიებმა, რომლებსაც ბიზნესი აქვთ თავდაცვის სამინისტროსთან, შეიმუშაონ ეთიკის კოდექსი.

ბ. განავითაროს პროცედურა, რომელიც საშუალებას მისცემს თავდაცვის სამინისტროს გულდასმით შეამოწმოს ტენდერში მონაწილე კომპანიების ეთიკური სტანდარტები.

II. დასკვნები

74. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უმაღლეს დონეზე მხარდაჭერა და საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების კეთილსინდისიერების ამაღლება მნიშვნელოვანი პრიორიტეტია თავდაცვის სამინისტროსათვის, თუმცა ბევრი პროექტი ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა და დასჭირდება დრო და გამოცდილება, რათა რეალური შედეგები გამოიღონ.

75. ინტერვიუები ჩატარდა ნატოს შემფასებელთა ჯგუფის მიერ და იყო ღია, გულწრფელი და მოიცავდა პირთა ფართო წრეს. გუნდს ჰქონდა სრული ხელმისაწვდომობა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასა და მნიშვნელოვან მენეჯერ პოზიციებზე მყოფ პერსონალთან. ორგანიზაციული რეფორმები საჭირო იქნება რამდენიმე სასიცოცხლო სფეროში, როგორებიცაა, აუდიტის, შესყიდვების და გენერალური ინსპექციის, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება.

76. განათლება და წვრთნები უნდა იქცეს მთავარ პრიორიტეტად. რამდენადაც ეს შესაძლებელია, საქართველომ სრულად უნდა ისარგებლოს ნატოს BI და SEDM რესურსებით ანტიკორუფციული ცნობიერებისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მხრივ.

77. მას შემდეგ, რაც მოხდება მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროს მრავალი ინიციატივის განხორციელება, საქართველო იქნება სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ძლიერ სახელისუფლებო მხარდაჭერას უზრუნველყოს ანტიკორუფციული პროგრამების წარმატება და ყველა მოქალაქისათვის „კარგი მმართველობის“ მიწოდება.

საქართველოს კეთილსინდისეობის ამალგების თვითშეფასების ჯგუფის ვიზიტი
9-13 დეკემბერი 2013

ნატო-ს ჯგუფის შემადგენლობა:

1. ბ-ნი ბენედიქტ ბორელი, ნატოს პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სამმართველო
2. ბრიგადის გენერალი ივან კარუზო, ნატოს თანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების სამმართველო
3. ბ-ნი ბრიუს ბახი, ექსპერტი (აშშ)
4. დ-რი ალექსეი ლოსკუტოვსკი, ექსპერტი (ლატვია)
5. ქ-ნი პატრიცია შერინგი, ექსპერტი (დიდი ბრიტანეთი)

გამოკითხული ქართული პერსონალი:

ბ-ნი ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი
ქ-ნი თამარ ქაროსანიძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ადამიანური რესურსების მართვისა და განათლების საკითხებში
ქ-ნი ნინო ბაქრაძე, თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ჯაჭვამე, J-1
ბ-ნი კახაბერ ხარეზაძე, მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვები
ბ-ნი ლევან ჯორბენაძე, თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი კახაბერ ჩიხრაძე, სამხედრო პოლიციის უფროსი
ბ-ნი ანდრო გოცირიძე, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი
გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, გენერალური შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე, J-5
ბ-ნი ირაკლი უჯმაჯურიძე, თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ბ-ნი მირზა დევიძე, თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, J-3
ბ-ნი გიორგი დოლიძე, PPBS სამმართველოს უფროსი
ქ-ნი ლელა გულედანი, ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ვიცე-პოლკოვნიკი დავით მამულაშვილი, J-4/8
ბ-ნი გიზო ღლონტი, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ბ-ნი ტატო ურჯუმელაშვილი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე

ბ-ნი ნოდარ ჩხარტიშვილი, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
 ქ-ნი ქეთევან ასისტიშვილი, რეფორმების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი
 ბ-ნი ალექსი ბატიაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფინანსებისა და შესყიდვების საკითხებში
 ქ-ნი რუსუდან მილქელიძე, ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე
 ქ-ნი ნანა ღვალაძე, დეპარტამენტის უფროსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური
 ბ-ნი ზურაბ აგლაძე, ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი პოლკოვნიკი დავით ნაკაშიძე, J-7
 ვიცე-პოლკოვნიკი შალვა ბაჯელიძე, წვრთნებისა და განათლების სარდლობის სარდალი
 ბ-ნი ლევან ძნელაძე, დეპარტამენტის უფროსი, გენერალური პროკურატურა
 ქ-ნი მაკა კურტანიძე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

ჯგუფის ინტერვიუ შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან:

1. ბ-ნი გიორგი თოთლაძე, ფინანსების მართვის დეპარტამენტი
2. ბ-ნი ბექა ფიფია, ადამიანური რესურსების დეპარტამენტი
3. ბ-ნი ირაკლი ანთაძე, გენერალური ინსპექცია
4. ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ხურცილავა, J-5
5. კაპიტანი იოსებ ჯაფარიძე, J-1
6. ბ-ნი გიორგი მთიულიშვილი, სამხედრო პოლიცია
7. ქ-ნი ანა ახალაია, შესყიდვების დეპარტამენტი

შეხვედრები არასამთავრობოებთან:

ბ-ნი გიორგი მუჩაიძე - საქართველოს ატლანტიკური საბჭო
 ქ-ნი ხათუნა ბურკაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
 ბ-ნი გიორგი კლდიაშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 ქ-ნი ევა ანდერსონი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“
 ქ-ნი თეონა აქუბარდია, „თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭო“

78.